ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 29

ქალაქი ქუთაისი 18 ნოემბერი 2025 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის
16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ამოღებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხიდან №133; №300; №342; №370; №526; №401; №535 პუნქტები.
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №560–№564 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე (გიორგი ჭიღვარია)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური საკრებულო • ფალიდაური

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
გას. №-29---
„18“ -------11---2025 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის 18 ნოემბრის
№ 29 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
560	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, №36-ის მიმდებარედ	81	03.05.23.809
561	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი, №43ბ-ს სამხრეთით	88	03.05.28.674
562	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ბუკიას ქუჩის მიკრორაიონი (ნაკვეთი №2)	88	03.01.32.089
563	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, №13-ის აღმოსავლეთით	3	03.05.23.304
564	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირის მიმდებარედ	1585	03.05.28.634

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ჭიღვარია